1987 №3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0203—2023

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 3

1987

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (499) მარტი 1987 წელი

## განყოფილება პირველი


57. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

58. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

59. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ექსპერიმენტის წესით ჩატარების შესახებ.

60. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა მორიგი არჩევნების შესახებ.

61. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესის შესახებ.

62. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. ა. ლაბახუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

63. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. მ. კამკამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ.

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

64. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დანიშვნის შესახებ.

65. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დანიშვნის შესახებ.

66. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. შუშანაშვილის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

## განყოფილება მეორე

67. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის" დაჯილდოების შესახებ.

68. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ.

69. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

70. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

71. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. გ. ფალავანდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

72. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

73. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ნ. მეძმარიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

74. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. კ. ჩარკვიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

75. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ნ. კლემენოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

76. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. რ. კალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

77. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ი. ნასიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

78. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუძის ბრძანებულება ამხ. ჯ. ლ. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

79. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. გ. ოჩიგავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

80. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

81. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ვ. ჯღამაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

82. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ორგანოების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

83. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. ბასილაიასათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

84. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ვ. კოსტინისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

85. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ვ. შუბითიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 57 „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საარჩევნო პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა განსახორციელებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ 1979 წლის 15 ივნისის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1979 წ. № 6-ის დანართი) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-18 მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „აღმასრულებელი კომიტეტები" შემდეგ დაემატოს სიტყვები „საუბნო საარჩევნო კომისიების მონაწილეობით".

2. მე-20 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამომრჩეველთა სიაში უსწორობათა შესახებ განცხადება წარედგინება სიის შემდგენელ საუბნო საარჩევნო კომისიას ან სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ჯარის ნაწილის მეთაურს, გემის კაპიტანს, რომლებიც მოვალე არიან არა უგვიანეს ორი დღის ვადაში განიხილონ ასეთი განცხადება და შეიტანონ საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში ან მისცენ განმცხადებელს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი. საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კომისიის შემადგენლობის დამამტკიცებელ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც მოვალეა განიხილოს საჩივარი ორი დღის ვადაში. სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიას".

3. 23-ე მუხლში:

პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები „ხოლო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება აგრეთვე სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტების, ქალთა საბჭოების, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოების წარმომადგენლებისაგან";

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული ორგანოები, მათი პირველადი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, აგრეთვე ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები";

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მესამე და მეოთხე ნაწილები:

„საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, პირველადი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათი ორგანოები, შრომითი კოლექტივები, სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტები, ქალთა საბჭოები, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოები, აგრეთვე ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს ასახელებენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების პროფკავშირის კომიტეტებისა და ადმინისტრაციის მიერ ერთობლივად მოწვეულ შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე. დიდ შრომითს კოლექტივებში საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საამქროების, განყოფილებების, უბნების, ქვეგანყოფილებების, ცვლების, ბრიგადებისა და სხვა ქვეგანაყოფთა კოლექტივების კრებებზე";

მესამე ნაწილი ჩაითვალოს მეხუთე ნაწილად.

4. 27-ე მუხლს სიტყვების „შრომითი კოლექტივის" შემდეგ დაემატოს სიტყვები „სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტის, ქალთა საბჭოს, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს".

5. 30-ე მუხლში:

„ა" და „გ" პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მონაწილეობს ამომრჩეველთა სიის შედგენაში, აცნობს ამომრჩევლებს ამომრჩეველთა სიას, იღებს განცხადებებს ამომრჩეველთა სიაში უსწორობათა შესახებ, განიხილავს მათ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ეს განცხადებები სიის შემდგენელი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ჯარის ნაწილის მეთაურის, გემის კაპიტნის განსახილველად. შეაქვს შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში გვარის, სახელის, მამის სახელისა და სხვა მონაცემების დაწერილობაში";

„გ) ადგენს ამომრჩეველთა დამატებით სიებს იმ პირებისათვის, რომლებიც საარჩევნო უბანში ხმის მიცემის უფლების მოწმობით მივიდნენ ან ახალ საცხოვრებელ ადგილას მივიდნენ ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნების შემდეგ ხმის მიცემის უფლების მოწმობის გარეშე, ან რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო ვერ მოხვდნენ ძირითად სიაში. ამომრჩეველთა დამატებით სიებს ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი".

6. 31-ე მუხლის მესამე ნაწილს დაემატოს სიტყვები „საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ამომრჩეველთა სიაში უსწორობათა შესახებ მოქალაქეთა განცხადებებზე შეიძლება გასაჩივრდეს ამ კომისიის შემადგენლობის დამამტკიცებელ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში".

7. 32-ე მუხლში სიტყვები „ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების“ შეიცვალოს სიტყვებით „ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტების, ქალთა საბჭოების, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოების“.

8. 34-ე მუხლში:

მესამე ნაწილში სიტყვები „მოქალაქეთა საერთო კრებები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების საწარმოო ქვეგანყოფილებათა, სოფლების და სოფლის სხვა დასახლებული პუნქტების მიხედვით“ შეიცვალოს სიტყვებით „საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებები, ყრილობები“;

მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შრომითი კოლექტივებისაგან დეპუტატობის კადიდატებს ასახელებენ საწარმოების, დაწესებულებების. ორგანიზაციების პროფკავშირის კომიტეტებისა და ადმინისტრაციის მიერ ერთობლივად მოწვეულ შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე. დიდ შრომითს კოლექტივებში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებს ასახელებენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების საამქროების, განყოფილებების, უბნების, ქვეგანყოფილებების, ცვლების, ბრიგადებისა და სხვა ქვეგანაყოფთა კოლექტივების კრებებზე“;

მერვე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დეპუტატობის კანდიდატის დასახელების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც აღინიშნება: კანდიდატის დამსახელებელი ორგანიზაციის ან იმ დასახლებული პუნქტის (მისი ნაწილის) სახელწოდება, სადაც კანდიდატის დასასახელებლად ჩატარდა მოქალაქეთა საერთო კრება, ყრილობა, კრების ან სხდომის ჩატარების თარიღი და ადგილი, კრების თუ სხდომის მონაწილე პირთა რიცხვი, დასახელებული კანდიდატის სასარგებლოდ მიცემული ხმების რაოდენობა, კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი“;

მეცხრე ნაწილს სიტყვის „კოლექტივები“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებები, ყრილობები, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები“.

9. მუხლი 35-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 35.** დასახელებული დეპუტატობის კანდიდატებისათვის მხარდაჭერის უფლება

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შრომითს კოლექტივებს, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებებს, ყრილობებს, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ დასახელებულ კანდიდატურებს, აგრეთვე აირჩიონ დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირები“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. 36-ე მუხლში:

პირველ ნაწილს სიტყვის „კოლექტივს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებას, ყრილობას, ჯარის ნაწილში სამხედრო მოსამსახურეთა კრებას“;

პირველ და მეორე ნაწილებში სიტყვა „არჩევნებამდე“ შეიცვალოს სიტყვებით „არჩევნების დღემდე“.

11. 37-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „შრომითი კოლექტივის კრების, ჯარის ნაწილში სამხედრო მოსამსახურეთა კრების ან კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის საწარმოო ქვეგანყოფილების, სოფლის ან სოფლის სხვა დასახლებული პუნქტის მოქალაქეთა საერთო კრების“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომითი კოლექტივის საერთო კრების ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის საამქროს, განყოფილების, უბნის, ქვეგანყოფილების, ცვლის, ბრიგადის და სხვა ქვეგანაყოფის კოლექტივის კრების, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრების, ყრილობის, ჯარის ნაწილში სამხედრო მოსამსახურეთა კრების“.

12. 38-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „შრომითს კოლექტივებს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებებს, ყრილობებს“.

13. 39-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შესაბამისი საარჩევნო ოლქის საარჩევნო ბიულეტენის ტექსტს ამტკიცებს საოლქო საარჩევნო კომისია, ბიულეტენში ანბანის მიხედვით შეაქვთ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ყველა დეპუტატობის კანდიდატი, ამასთან აღინიშნება თითოეული მათგანის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაკავებული თანამდებობა (საქმიანობა) და სამუშაო ადგილი, კანდიდატთა დამსახელებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების ან საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების საამქროების, განყოფილებების, უბნების, ქვეგანყოფილებების, ცვლების, ბრიგადებისა და სხვა ქვეგანაყოფთა კოლექტივების, იმ დასახლებული პუნქტების (მათი ნაწილების) სახელწოდება, სადაც დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად ჩატარდა მოქალაქეთა საერთო კრებები, ყრილობები, აგრეთვე ჯარის ნაწილებში კანდიდატთა დამსახელებელი სამხედრო მოსამსახურეთა კრებების სახელწოდება“.

14. 41-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „შრომითს კოლექტივებს“ შეიცვალოს სიტყვებით „შრომითს კოლექტივებს, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებებს, ყრილობებს“.

15. 45-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების“ შეიცვალოს სიტყვებით „ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტების, ქალთა საბჭოების, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოების“.

16. 47-ე მუხლის მეხუთე ნაწილსა და 49-ე მუხლის მეექვსე ნაწილს სიტყვების „შრომითი კოლექტივების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სოფლის, ქუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტების, ქალთა საბჭოების, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოების".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 3 მარტი.
№ 1147—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 58 „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საარჩევნო პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა განსახორციელებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ 1981 წლის 25 ნოემბრის კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 13, მუხ. 293) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 21-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „აღმასრულებელი კომიტეტები" შემდეგ დაემატოს სიტყვები „საუბნო საარჩევნო კომისიების მონაწილეობით".

2. 23-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამომრჩეველთა სიაში სწორებათა შესახებ განცხადება წარედგინება სიის შემდგენელ საუბნო საარჩევნო კომისიას ან სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ჯარის ნაწილის მეთაურს, გემის კაპიტანს, რომლებიც მოვალე არიან არა უგვიანეს ორი დღის ვადაში განიხილონ ასეთი განცხადება და შეიტანონ საჭირო შესწორებანი ამომრჩეველთა სიაში ან მისცენ განმცხადებელს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი. საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კომისიის შემადგენლობის დამამტკიცებელ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში, რომელიც მოვალეა განიხილოს საჩივარი ორი დღის ვადაში. სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიას".

3. 26-ე მუხლში:

პირველ ნაწილს დაემატოს სიტყვები „ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება აგრეთვე სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი კომიტეტების, ქალთა საბჭოების, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოების წარმომადგენლებისაგან“.

მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, მათი პირველადი ორგანიზაციები, აგრეთვე შრომითი კოლექტივები და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, პირველადი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათი ორგანოები, შრომითი კოლექტივები, სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტები, ქალთა საბჭოები, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოები, აგრეთვე ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს ასახელებენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების პროფკავშირის კომიტეტებისა და ადმინისტრაციის მიერ ერთობლივად მოწვეულ შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე. დიდ შრომით კოლექტივებში საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საამქროების, განყოფილებების, უბნების, ქვეგანყოფილებების, ცვლების, ბრიგადების და სხვა ქვეგანაყოფთა კოლექტივების კრებებზე“;

მეოთხე ნაწილი ჩაითვალოს მეხუთე ნაწილად.

4. 29-ე მუხლს სიტყვების „შრომითი კოლექტივის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტის, ქალთა საბჭოს, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს“.

5. 31-ე მუხლში:

„ა“ და „გ“ პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მონაწილეობს ამომრჩეველთა სიის შედგენაში, აცნობს ამომრჩევლებს ამომრჩეველთა სიას, იღებს განცხადებებს ამომრჩეველთა სიაში უსწორობათა შესახებ, განიხილავს მათ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ეს განცხადებები სიის შემდგენელი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ჯარის ნაწილის მეთაურის, გემის კაპიტნის განსახილველად. შეაქვს შესწორება ამომრჩეველთა სიაში გვარის, სახელის, მამის სახელისა და სხვა მონაცემების დაწერილობაში;“

„გ) ადგენს ამომრჩეველთა დამატებით სიებს იმ პირებისათვის, რომლებიც საარჩევნო უბანში ხმის მიცემის უფლების მოწმობით მივიდნენ ან ახალ საცხოვრებელ ადგილას მივიდნენ ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნების შემდეგ ხმის მიცემის უფლების მოწმობის გარეშე, ან რომლებიც სხვადასხვა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვი კომიტეტების, ქალთა საბჭოების, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოების წარმომადგენლებისაგან".

მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, მათი პირველადი ორგანიზაციები, აგრეთვე შრომითი კოლექტივები და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული ორგანოები, პირველადი საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მათი ორგანოები, შრომითი კოლექტივები, სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტები, ქალთა საბჭოები, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოები, აგრეთვე ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებები.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებს ასახელებენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების პროფკავშირის კომიტეტებისა და ადმინისტრაციის მიერ ერთობლივად მოწვეულ შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე. დიდ შრომით კოლექტივებში საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომადგენლებს ასახელებენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საამქროების, განყოფილებების, უბნების, ქვეგანყოფილებების, ცვლების, ბრიგადების და სხვა ქვეგანაყოფთა კოლექტივების კრებებზე";

მეოთხე ნაწილი ჩაითვალოს მეხუთე ნაწილად.

4. 29-ე მუხლს სიტყვების „შრომითი კოლექტივის" შემდეგ დაემატოს სიტყვები „სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტის, ქალთა საბჭოს, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს".

5. 31-ე მუხლში:

„ა" და „გ" პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მონაწილეობს ამომრჩეველთა სიის შედგენაში, აცნობს ამომრჩევლებს ამომრჩეველთა სიას, იღებს განცხადებებს ამომრჩეველთა სიაში უსწორობათა შესახებ, განიხილავს მათ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ეს განცხადებები სიის შემდგენელი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, ჯარის ნაწილის მეთაურის, გემის კაპიტნის განსახილველად. შეაქვს შესწორება ამომრჩეველთა სიაში გვარის, სახელის, მამის სახელისა და სხვა მონაცემების დაწერილობაში;"

„გ) ადგენს ამომრჩეველთა დამატებით სიებს იმ პირებისათვის, რომლებიც საარჩევნო უბანში ხმის მიცემის უფლების მოწმობით მივიდნენ ან ახალ საცხოვრებელ ადგილას მივიდნენ ამომრჩეველთა სიების გამოქვეყნების შემდეგ ხმის მიცემის უფლების მოწმობის გარეშე, ან რომლებიც სხვადასხვა გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემოებათა გამო ვერ მოხვდნენ ძირითად სიაში. ამომრჩეველთა დამატებით სიებს ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი".

6. 32-ე მუხლის მესამე ნაწილს დაემატოს სიტყვები „ხოლო გადაწყვეტილება ამომრჩეველთა სიაში უსწორობათა შესახებ მოქალაქეთა განცხადებებზე — ამ კომისიის შემადგენლობის დამამტკიცებელ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში".

7. 33-ე მუხლში სიტყვები „ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების" შეიცვალოს სიტყვებით „ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტების, ქალთა საბჭოების, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოების".

8. 35-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შრომითი კოლექტივებისაგან სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს ასახელებენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების პროფკავშირის კომიტეტებისა და ადმინისტრაციის მიერ ერთობლივად მოწვეულ შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე. დიდ შრომითს კოლექტივებში კრებები შეიძლება ჩატარდეს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, საამქროების, უბნების, განყოფილებების, ცვლების, ბრიგადებისა და სხვა ქვეგანაყოფთა მიხედვით".

9. 37-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში სიტყვა „არჩევნებამდე" შეიცვალოს სიტყვებით „არჩევნების დღემდე".

10. 46-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების" შეიცვალოს სიტყვებით „ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტების, ქალთა საბჭოების, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოების".

11. 48-ე მუხლის მეხუთე ნაწილსა და 50-ე მუხლის მეექვსე ნაწილს სიტყვების „შრომითი კოლექტივების" შემდეგ დაემატოს სიტყვები „სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტების, ქალთა საბჭოების, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოების".

12. 58-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 58.** არჩევნების ჩატარების წესი

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები ტარდება შრომითი კოლექტივების საერთო კრებებზე, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებებზე, ყრილობებზე, ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებებზე.

შრომითი კოლექტივების კრებებს ერთობლივად იწვევენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების პროფკავშირის კომიტეტები და ადმინისტრაცია. დიდ შრომითს კოლექტივებში სახალხო მსაჯულთა არჩევნები ტარდება საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების საამქროების, განყოფილებების, უბნების, ქვეგანყოფილებების, ცვლების, ბრიგადებისა და სხვა ქვეგანაყოფთა კოლექტივების კრებებზე.

საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებებს, ყრილობებს იწვევს სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ან მისი დავალებით სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტი.

სამხედრო მოსამსახურეთა კრებებს იწვევს ჯარის ნაწილის მეთაურობა. თუ შეუძლებელია ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრების მოწვევა, კრებები ტარდება ქვეგანაყოფებში.

სახალხო მსაჯულთა ასარჩევი კრების დროისა და ადგილის შესახებ მოქალაქეებს აცნობებენ არა უგვიანეს სამი დღისა კრებამდე.

კრება ჩაითვლება უფლებამოსილად, თუ მასში მონაწილეობს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა ან ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა უმრავლესობა.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულობის კანდიდატებს ასახელებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, პროფესიული კავშირების, სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ორგანიზაციები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებები, ყრილობები, სოფლის, ქუჩის, კვარტალის, სახლის საზოგადოებრივი კომიტეტები, ქალთა საბჭოები, ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოები.

თითოეულ კრების დამსწრეს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს დასახელებული კანდიდატურების განხილვაში, მხარი დაუჭიროს წამოყენებულ კანდიდატურებს ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები ტარდება ღია კენჭისყრით თითოეულ კანდიდატურაზე ცალ-ცალკე.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს არჩეულ სახალხო მსაჯულებად ჩაითვლებიან ის პირები, რომლებმაც მიიღეს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა ან ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა ხმების ნახევარზე მეტი.

კრებაზე აირჩევა პრეზიდიუმი და დგება ოქმი".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 3 მარტი.
№ 1146—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 59 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების ექსპერიმენტის წესით ჩატარების შესახებ

საარჩევნო პრაქტიკის შემდგომი სრულყოფის შესახებ სკკპ XXVII ყრილობის მითითებათა განსახორციელებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნების დროს წითელი წყაროს რაიონის ტერიტორიაზე სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების) და სასოფლო საბჭოების არჩევნები ჩატარდეს ექსპერიმენტის წესით მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით.

2. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში არჩევნები გაიმართება „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონისა და ამ დადგენილების დებულებათა დაცვით.

3. დაწესდეს, რომ მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების რაოდენობას განსაზღვრავენ: სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს არჩევნების — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქალაქო საბჭოს (რაიონული დაქვემდებარების) და სასოფლო საბჭოების არჩევნების — რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი არსებული საარჩევნო ოლქების გაერთიანების გზით, „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებული მათი საერთო რაოდენობის ფარგლებში. ასეთი ოლქები შეიძლება შეიქმნას ცალკეული დასახლებული პუნქტების, მიკრორაიონების, კვარტალების, ქუჩებისა და დასახლებული პუნქტების სხვა შემადგენელი ნაწილების საზღვრებში.

სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები საბჭოში ასარჩევ დეპუტატთა საერთო რიცხვის ფარგლებში დაადგენენ თითოეულ მრავალმანდატიან ოლქში ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობას მოცემული ოლქის მოსახლეობის რიცხვის გათვალისწინებით.

4. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატთა რიცხვი, როგორც წესი, უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ოლქში მანდატთა რაოდენობას.

5. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვადასხვა ორგანოების, შრომითი კოლექტივების, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებების, ყრილობების, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისას იმართება საოლქო წინასაარჩევნო თათბირი. თათბირზე დასასწრებად წარმომადგენლების არჩევასთან ერთად ასახელებენ დეპუტატობის კანდიდატებს. საოლქო წინასაარჩევნო თათბირს იწვევენ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა რაიონული, საქალაქო ორგანოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოლქო წინასაარჩევნო თათბირი განიხილავს ოლქში დასახელებულ კანდიდატურებს, იღებს გადაწყვეტილებას მათი მხარდაჭერის შესახებ, ანდა საჭიროების შემთხვევაში დეპუტატობის კანდიდატთა დამსახელებელ ორგანიზაციებთან შეთანხმებით შეაქვს ცვლილებები ოლქში დასახელებულ კანდიდატთა სიაში. შემდეგ საოლქო წინასაარჩევნო თათბირი იწონებს სიას და წარუდგენს საოლქო საარჩევნო კომისიას დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციისათვის. ერთდროულად წარდგენილ იქნება ოქმები დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო ოლქში ყველა დეპუტატობის კანდიდატი დაასახელეს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთმა ორგანომ, შრომითმა კოლექტივმა, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრებამ, ყრილობამ, ჯარის ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა კრებამ, საოლქო წინასაარჩევნო თათბირი არ ჩატარდება.

6. „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონისა და ამ დადგენილების მოთხოვნათა დაცვით დასახელებულ დეპუტატობის კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია საოლქო წინასაარჩევნო თათბირის, ანდა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ორგანოს, შრომითი კოლექტივის, საცხოვრებელ ადგილას მოქალაქეთა საერთო კრების, ყრილობის, ჯარის ნაწილის სამხედრო მოსამსახურეთა კრების წარდგინებით.

დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია წარმოებს იმ შემთხვევაში, თუ არის „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონით გათვალისწინებული დოკუმენტები და საოლქო წინასაარჩევნო თათბირის ოქმი.

7. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ შედგება ერთიანი ოქმი, რომელშიც ანბანური წესით აღინიშნება საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული ყველა დეპუტატობის კანდიდატი.

საოლქო საარჩევნო კომისია იღებს გადაწყვეტილებას საარჩევნო ბიულეტენის ტექსტის დამტკიცების შესახებ.

თითოეულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატთა შემადგენლობა გამოქვეყნდება დადგენილი წესით.

8. ხმა ეძლევა ყველა რეგისტრირებულ და საარჩევნო ბიულეტენში შეტანილ დეპუტატობის კანდიდატს. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას ამოშლის იმ კანდიდატთა გვარებს, რომელთა წინააღმდეგ აძლევს ხმას, და ტოვებს დანარჩენთა გვარებს.

9. მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლებიან ის დეპუტატობის კანდიდატები, რომლებმაც არჩევნებში მიიღეს სიებში შეტანილ ოლქის ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი.

თუ ხმის მიცემის შედეგად არჩეულ დეპუტატთა რიცხვი საარჩევნო ოლქში მანდატთა რაოდენობაზე მეტი იქნება, მაშინ ის დეპუტატები, რომელთაც ნაკლები ხმები მიიღეს, ჩაითვლებიან შესაბამისი სახალხო დეპუტატთა საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოს არჩეულ სარეზერვო დეპუტატებად. სარეზერვო დეპუტატებს აძლევენ მოწმობას მათი არჩევის შესახებ.

როცა ხმები თანაბარია, რაც არ იძლევა არჩეულ დეპუტატთა დადგენის საშუალებას, შესაბამისი რაიონული, საქალაქო, სასოფლო საარჩევნო კომისია ავალებს საოლქო საარჩევნო კომისიას ორი კვირის ვადაში საარჩევნო ოლქში განმეორებით მოაწყოს ამ დეპუტატობის კანდიდატთათვის ხმის მიცემა.

10. სახალხო დეპუტატთა საბჭოს შემადგენლობიდან დეპუტატის გამოკლებისას მისი მანდატი გადაეცემა სარეზერვო დეპუტატს, რომელსაც მოცემული ოლქის სხვა სარეზერვო დეპუტატებთან შედარებით მეტი ხმა აქვს მიღებული. ამ სარეზერვო დეპუტატის, როგორც საბჭოს დეპუტატის, უფლებამოსილებას შესაბამისი საბჭო ცნობს მისი სამანდატო კომისიის წარდგინების შემდეგ.

11. სარეზერვო დეპუტატები მონაწილეობენ სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მისი ორგანოების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით, სარგებლობენ დეპუტატთა ხელშეუხებლობის უფლებით და სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის უფლებათა დაცვის გარანტიებით.

12. ამ დადგენილებით გათვალისწინებული წესები შემოღებულია როგორც ექსპერიმენტული ნორმები და მოქმედებს საქართველოს სსრ მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების პერიოდში.

13. საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებამ განაზოგადოს მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში ჩატარებული არჩევნების შედეგები და შეიტანოს შესაბამისი წინადადებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში 1987 წლის ივლისში, ხოლო ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგების შესახებ მოახსენოს მას 1990 წლის იანვარში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 3 მარტი.
№ 1145—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 60 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა მორიგი არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 164-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“

№ 3
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ჩატარდეს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა მორიგი არჩევნები 1987 წლის აპრილ-მაისში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 3 მარტი.
№ 1143—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 61 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესის შესახებ

„საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის 65-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაწესდეს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის შემდეგი წესი:

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საარჩევნო კომისიების სხდომათა ოქმები და სხვა დოკუმენტები, მათ შორის ოქმები სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ, რომელთაც თან ერთვის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შესაბამისი ორგანოების სხდომების, შრომითი კოლექტივების კრებების, სამხედრო ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების ოქმები სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელების შესახებ, სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა განცხადებები იმის შესახებ, რომ თანახმა არიან კენჭი იყარონ შესაბამის საარჩევნო ოლქებში, აგრეთვე ამ საარჩევნო კომისიათა ოქმები თითოეულ საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლეების არჩევნების შედეგების შესახებ, რომელთაც თან ერთვის საუბნო საარჩევნო კომისიათა ოქმები ხმის მიცემის შედეგების შესახებ, სახალხო მოსამართლეთა რეგისტრაციის შემდეგ ახალ არჩევნებამდე ინახება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, ხოლო შემდეგ შესანახად გადაეცემა ადგილობრივ სახელმწიფო არქივებს, გარდა სახალხო მოსამართლეობის კანდიდატთა დასახელების შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შესაბამისი ორგანოების სხდომების, შრომითი კოლექტივების კრებების, სამხედრო ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების ოქმებისა და საუბნო საარჩევნო კომისიათა ოქმებისა კენ-

მუხ/61

ჭისყრის შედეგების შესახებ, რომლებიც აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ უნდა განადგურდეს.

საუბნო საარჩევნო კომისიების სხდომათა ოქმები და სხვა დოკუმენტები, სახალხო მოსამართლეთა არჩევნებში ხმის მიცემის შედეგების შესახებ ამ კომისიათა ოქმების ასლების ჩათვლით, ახალ არჩევნებამდე ინახება საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის დამამტკიცებელ სახალხო დეპუტატ-თა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდებარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, ხოლო შემდეგ უნდა განადგურდეს.

სამხედრო ნაწილებში საუბნო საარჩევნო კომისიების მასალები ახალ არჩევნებამდე ინახება სამხედრო ნაწილების საქმეებში, რის შემდეგაც უნდა განადგურდეს.

საარჩევნო ბიულეტენები არჩევნების დღიდან სამი თვის განმავლობაში ინახება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რაიონული დაქვემდე-ბარების ქალაქების გარდა), ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, რის შემდეგაც უნდა განადგურდეს. საუბნო საარჩევნო კო-მისიის მიერ გაუქმებული საარჩევნო ბიულეტენები არჩევნების შემდეგ მა-შინვე უნდა განადგურდეს.

ამომრჩეველთა სიები სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღ-მასრულებელ კომიტეტებში ინახება ახალ არჩევნებამდე, რის შემდეგაც უნდა განადგურდეს.

საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ორგანოების სხდომების ან კრებების, შრო-მითი კოლექტივების კრებების, სამხედრო ნაწილებში სამხედრო მოსამსახუ-რეთა კრებების ოქმები საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში წარმომად-გენელთა დასახელების შესახებ ახალ არჩევნებამდე ინახება საარჩევნო კო-მისიების შემადგენლობის დამამტკიცებელ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, ხოლო შემდეგ უნდა განადგურდეს.

სახალხო მსაჯულების არჩევნების შესახებ შრომითი კოლექტივების კრე-ბებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა კრებების ოქმები ახალ არჩევნებამდე ინახება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში, რის შემდეგაც უნდა განადგურდეს.

სახალხო მსაჯულთა არჩევნების შესახებ სამხედრო მოსამსახურეთა კრე-ბების ოქმები ახალ არჩევნებამდე ინახება სამხედრო ნაწილის საქმეებში, ხოლო შემდეგ უნდა განადგურდეს.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა სიები სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კო-მიტეტების მიერ მათი დამტკიცების შემდეგ გადაიგზავნება რაიონულ (საქა-ლაქო) სახალხო სასამართლოებში, სადაც ისინი ახალ არჩევნებამდე ინახება. შემდეგ სახალხო მსაჯულთა სიები დაუბრუნდება იმ სიების დამამტკიცებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, რომლებიც მათ შესანახად გადასცემენ ადგილობრივ სახელმწიფო არქივებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 4 მარტი.
№ 1153—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 62 ამხ. ზ. ა. ლაბახუას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ზურაბ აკაკის ძე **ლაბახუა** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და განთავისუფლდეს საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 10 მარტი.
№ 1154—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 63 ამხ. ვ. მ. კამკამიძის საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს ამხ. ვლადიმერ მინას ძე **კამკამიძე** საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 25 მარტი.
№ 1175—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 64 საქართველოს სსრ მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრამეტე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 86-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნები კვირას, 1987 წლის 21 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 მარტი.
№ 1179—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 65 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის გასვლასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 164-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები კვირას, 1987 წლის 21 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 27 მარტი.
№ 1180—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 66 ამხ. ა. ა. შუშანაშვილის საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

განთავისუფლდეს ამხ. ალექსანდრე ამირანის ძე **შუშანაშვილი** საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 31 მარტი.
№ 1186—XI

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 67 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული სამსახურისათვის“** დაჯილდოვდნენ:

თეიმურაზ ვახტანგის ძე **სიდამონიძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.

მამუკა ასისის ძე **სხიერელი** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებასა და სპეკულაციასთან ბრძოლის სამმართველოს მრეწველობაში, მშენებლობაში, მსუბუქ და ადგილობრივ მრეწველობაში დატაცებებთან ბრძოლის განყოფილების უფროსი.

ეთერ გაბრიელის ასული **ჯიქია**—საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებასა და სპეკულაციასთან ბრძოლის სამმართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში დატაცებებთან ბრძოლის განყოფილების უფროსი ოპერრწმუნებული.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 10 მარტი.
№ 1157—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 68 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" დაჯილდოების შესახებ

წყალში ადამიანთა გადარჩენისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„წყალწაღებულთა გადარჩენისათვის"** დაჯილდოვდნენ:

ვიტალი ივანეს ძე **აგეევი** — ჯარის ნაწილის ასეულის ოცეულის მეთაური, პრაპორშჩიკი.

ალექსი ტიხონის ძე **ბოგაჩკოვი** — ფოთის აეროპორტის საკონტროლო-სადისპეტჩერო პუნქტის დისპეტჩერი.

ვლადიმერ ბორისის ძე **გოლოვატიუკი** — ჯარის ნაწილის უფროსი მძღოლი, უმცროსი სერჟანტი.

ვასილ ვასილის ძე **გრიშინი** — ფოთის ქარხანა „ელექტროაპარატის" ხარისხის მართვის ბიუროს უფროსი.

ალექსი პეტრეს ძე **გუტოროვიჩი** — ჯარის ნაწილის საწყობის უფროსი, პრაპორშჩიკი.

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **დუბროვინი** — ჯარის ნაწილის ოფიცერი.

დიმიტრი ვლადიმერის ძე **კოვალიოვი** — ჯარის ნაწილის ოფიცერი.

ვალენტინ ვლადიმერის ძე **მალოვი** — ჯარის ნაწილის რიგითი.

მიხეილ ივანეს ძე **მატვეევი** — ჯარის ნაწილის ოფიცერი.

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **მოტაევი** — ჯარის ნაწილის მძღოლი, რიგითი.

ვლადიმერ ვასილის ძე **ჟურავლიოვი** — ჯარის ნაწილის განყოფილების მეთაური, სერჟანტი.

გალინულ ჯანზაკის ძე **სიტკალიევი** — ჯარის ნაწილის უფროსი მძღოლი, რიგითი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 10 მარტი.

№ 1156—XI

№ 3/ ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 69 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის"** დაჯილდოვდნენ:

თამაზ გენოს ძე **უბილავა** — ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ქვეგანყოფილების უფროსი ინსპექტორი.

ომარ მურმანის ძე **ჯიქია** — ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ქვეგანყოფილების ინსპექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 31 მარტი.
№ 1182—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 70 საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

ნიკოლოზ ევგენის ძე **ბოროდინი** — ქუთაისის კავშირგაბმულობის საქალაქო კვანძის ელექტრომონტიორი.

გიორგი დავითის ძე **თავამაიშვილი** — პრესის გავრცელების სამმართველო „სოიუზპეჩატის" უფროსი.

ქეთევან მიხეილის ასული **ივანიშვილი** — სიღნაღის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ტელეფონისტი.

ნადეჟდა დიმიტრის ასული **კუკუნინა** — თეთრი წყაროს კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ტელეგრაფისტი.

ინვერ მურსაკულის ძე **მურსაკულოვი** — მარნეულის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის სპეცკავშირის პუნქტის ფელდეგერი.

პეტრე გერმანეს ძე **მჭედლიძე** — თელავის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ელექტრომკვებავ მოწყობილობათა ზედამხედველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა ვიქტორის ასული **ტაბიძე** — თბილისის ტელეგრაფის პროფკომის თავმჯდომარე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 3 მარტი.
№ 1139—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 71 ამხ. ლ. გ. ფალავანდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში წვლილისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ თამაშობათა კათედრის უფროსი მასწავლებელი ამხ. ლევან გიორგის ძე ფალავანდიშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 3 მარტი.
№ 1141—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 72 სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ავტონომიურ ოლქში საარქივო საქმის განვითარებაში წვლილისათვის და დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით **სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის საარქივო სამმართველო** და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 4 მარტი.
№ 1152—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 73 ამხ. გ. ნ. მეძმარიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საბჭოთა, საგეგმო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გერმან ნიკოლოზის ძე **მეძმარიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 4 მარტი.
№ 1149—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 74 ამხ. გ. კ. ჩარკვიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ამხ. გიორგი კანდიდის ძე **ჩარკვიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 4 მარტი.
№ 1150—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 75 ამხ. ა. ნ. კლეიმენოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის, მშრომელთა და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში მნიშვნელოვანი წვლილისათვის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ნიკოლოზის ძე კლეიმენოვი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 6 მარტი.
№ 1168ა—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 76 ამხ. კ. რ. კალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით პოეტი კარლო რაჟდენის ძე კალაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 მარტი.
№ 1173—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 77 ამხ. ს. ი. ნასიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკალური კულტურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი სულხან ივანეს ძე **ნასიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 მარტი.
№ 1172—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 78 ამხ. ჯ. ლ. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ჯონდო ლევანის ძე **ჯავახიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 მარტი.
№ 1171—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 79 ამხ. ს. გ. ოჩიგავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის აბაშის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. სევერიანე გრიგოლის ძე **ოჩიგავა** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ **უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 31 მარტი.
№ 1183—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 80 საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკი"

ასია კონსტანტინეს ასულ **ანმეგიკიანს** — თბილისის ფოსტამტის ოპერატორს.

გიორგი სერგოს ძე **გვარამაძეს** — ახალციხის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსს.

ეთერ ბექურბის ასულ **გოშთელიანს** — მესტიის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ოპერატორს.

შალვა არჩილის ძე **კალანდაძეს** — ბორჯომის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის უფროსს.

გიორგი მირონის ძე **კაფაფიანს** — თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ელექტრომონტიორს.

თამარ ვლადიმერის ასულ **უნგიაძეს** — ვანის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ტელეფონისტს.

ვლადიმერ ვიქტორის ძე **ჭუმბურიძეს** — მარნეულის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ელექტრომონტიორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

ალექსანდრე სტეფანეს ძე **კიზიმიროვს** — აჭარის ასსრ კავშირგაბმულობის საწარმოო ტექნიკური სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 3 მარტი.
№ 1140—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 81 ამხ. ო. ვ. ჯღამაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მშენებლობის მართვის ავტომატიზებულ სისტემათა გამოთვლითი ცენტრის დირექტორს ამხ. ოთარ ვლადიმერის ძე **ჯღამაძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. გილაშვილი**.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **შ. კვარაცხელია**.

თბილისი, 1967 წლის 3 მარტი.
№ 1142—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 82 მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ორგანოების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი"**

ჯალილ ნაბი ოღლი **ბინატოვს** — ბოლნისის გაზეთ „გამარჯვების დროშის" რედაქტორის მოადგილეს.

ვიქტორ გიორგის ძე **დარდაგანიძეს** — წყალტუბოს გაზეთ „დროშის" რედაქტორის მოადგილეს.

ოთარ ვასილის ძე **ესიაშვილს** — გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქტორის მოადგილეს.

იური ალექსანდრეს ძე **თავდუმაძეს** — გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქციის განყოფილების გამგეს.

ოლეგ ვასილის ძე **კევლიშვილს** — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის" რედაქციის განყოფილების გამგეს.

[library watermark]

დიმიტრი ნიკოლოზის ძე **კიკვიძეს** — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის რადიომაუწყებლობის ინფორმაციის მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორს.

კარლო შალვას ძე **კომახიძეს** — ფოთის გაზეთ „ახალი კოლხეთის" რედაქციის განყოფილების გამგეს.

შუქურა ლავროსის ასულ **კოტრიკაძეს** — გაზეთ „სოფლის ცხოვრების" კორესპონდენტს.

ვლადიმერ ივანეს ძე **ჩილიგინს** — გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" რედაქტორის მოადგილეს.

ტატიანა დავითის ასულ **ჭანტურიას** — გაზეთ „იზვესტიის" საკუთარ კორესპონდენტს.

## „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"

როზა მკრტიჩის ასულ **ადამიას** — გაზეთ „სოვეტკან ვრასტანის" გამომშვებს.

ევგენი იოსების ძე **აქუბარდიას** — გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქციის განყოფილების გამგეს.

ლია იოსების ასულ **ბაბურაშვილს** — გაზეთ „ზარია ვოსტოკას" კორექტორს.

ნიკოლოზ პლატონის ძე **გაბარაევს** — სამხრეთ ოსეთის ოლქლიტის უფროს რედაქტორს.

ვლადიმერ მიხეილის ძე **გაგლოევს** — ჟურნალ „ფიდიუაგის" მთავარ რედაქტორს.

მიხეილ აბელის ძე **დარჩიევს** — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტელეფილმების სტუდიის ხმის ოპერატორს.

ლია გიორგის ასულ **თევზაძეს** — საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს წამყვან რედაქტორს.

ნანა ბადუნის ასულ **მიმინოშვილს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ამწყობს.

ეკატერინე აბრამის ასულ **მთვრალაშვილს** — გამომცემლობა „განათლების" რედაქტორს.

ვალერიან დავითის ძე **ნაზლაიძეს** — ქ. რუსთავში მთავლიტის რწმუნებულს.

სოს არშაკის ძე **სიმოვორიანს** — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" კორესპონდენტს.

ვანდი ირაკლის ძე **ხანდამიშვილს** — გაზეთ „ლელოს" რედაქციის პასუხისმგებელ მდივანს.

სერგო შანოს ძე **ხაჩიროვს** — ჟურნალ „ფიდიუაგის" რედაქციის განყოფილების გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიდა გიორგის ასულ **ხუბულურს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ამწყობს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი"**

იგორ ვასილის ძე **კრავცოვს** — ჟურნალ „ეკონომისტის" რედაქტორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი"**

თინათინ კონსტანტინეს ასულ **ელბაქიძეს** — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის დიქტორს.

**„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი"**

ციური იპოლიტეს ასულ **გურაბანიძეს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის ამწყობს.

ლეონიდ ანდრიას ძე **კარეტნიკოვს** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის მბეჭდავს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"**

მარფა ათანასეს ასულ **პოზოვას** — წალკის სტამბის ბუღალტერს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 4 მარტი.
№ 1151—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 83 ამხ. ა. ა. ბასილაიასათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა საესტრადო ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ივერიის" სამხატვრო ხელმძღვანელს ამხ. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **ბასილაიას** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი"**.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1987 წლის 4 მარტი.
№ 1151—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**84** ამხ. ა. ვ. კოსტინისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

არმიის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის სრულყოფისათვის ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ოფიცერთა სახლის უფროსს ამხ. ანატოლი ვასილის ძე **კოსტინს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 31 მარტი.
№ 1184—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**85** ამხ. ა. ვ. შუბითიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის საქმეში გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის უფროს ბუღალტერს ამხ. ალექსანდრა ვასილის ასულ **შუბითიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 31 მარტი,
№ 1185—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1987 წლის 11 მარტს მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მორიგი არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ორგანიზაციული ღონისძიების შესახებ.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უდიდესმნიშვნელოვან ამოცანად მიჩნეულ იქნა მშრომელთა დარაზმვა სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ", სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის დადგენილების მოთხოვნათა, 1987 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვების გამოსაძებნად და გამოსაყენებლად, მთელი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის შემდგომ ასამაღლებლად, შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

დაევალათ მათ:

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის მთელ თავიანთ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ „სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 3 მარტის დადგენილებით;

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად შეიმუშაონ და დაამტკიცონ კონკრეტული სამუშაო გეგმები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების მოსამზადებლად და ჩასატარებლად და უზრუნველყონ არჩევნების ჩატარება „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ" და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონების მოთხოვნათა მკაცრი დაცვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღონ საჭირო ზომები საარჩევნო კომისიების კარგად მოწყობილი შენობებითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით უზრუნველსაყოფად;

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ანგარიშით გამოვიდნენ საბჭოების სესიებზე, მშრომელთა კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა კრებებზე, სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მისი აღმასკომის, განყოფილებების, სამმართველოებისა და სამსახურების მუშაობის შესახებ;

1987 წლის აპრილის ბოლომდე უზრუნველყონ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა ანგარიშგება ამომრჩეველთა წინაშე. დაეხმარონ დეპუტატებს მათთვის მიცემული განაწესების შესრულების შესახებ ინფორმაციის მომზადებაში;

უზრუნველყონ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა დასასახელებლად შრომითი კოლექტივების კრებების მაღალ დონეზე მომზადება და ჩატარება;

არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პერიოდში სრულად გამოიყენონ კანონმდებლობით მინიჭებული საარჩევნო პრაქტიკის დემოკრატიზაციის ფართო შესაძლებლობანი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენებისა და განხილვის პროცესის სრულყოფას. შრომითი კოლექტივებისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა კრებების ჩატარებისას, როგორც წესი, განიხილონ რამდენიმე კანდიდატურა და მათი წამოყენების საკითხები გადაჭრან საჯაროდ, დემოკრატიული პრინციპების დაცვით; ყურადღებით განიხილონ მშრომელთა ყველა ალტერნატიული წინადადებანი. გადაჭრით ებრძოლონ ფორმალიზმსა და პარადულობას დეპუტატობის კანდიდატების წამოყენებისა და საარჩევნო კამპანიის სხვა სტადიის დროს. გადაჭრით აღკვეთონ ხმის მიცემის შედეგების შელამაზების, ხალხის განწყობილების თაობაზე არაობიექტური ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტები, არჩევნებისათვის მზადებისა და ჩატარების პროცესი გამოიყენონ არჩევნების დემოკრატიულობის შემდგომი გაღრმავებისათვის წინადადებების შესამუშავებლად;

საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას დაბეჯითებით შეამოწმონ საბჭოთა ორგანოების მიერ „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი ამაღლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი დადგენილების, აგრეთვე სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება;

№ 3

შრომითს კოლექტივებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოქალაქეთა კრებებზე დეპუტატთა, სახალხო მოსამართლეთა, საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშების მოსმენისას, აგრეთვე წინასაარჩევნო კრებებზე განმარტონ სამეურნეო, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროში არსებული მდგომარეობა. უზრუნველყონ ამომრჩეველთა განაწესების, ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელების საქმიანობის თაობაზე ამომრჩეველთა ყველა წინადადებისა და შენიშვნის აღრიცხვა და დასახონ ოპერატიული ღონისძიებები მათ განსახორციელებლად;

სერიოზული ყურადღება დაუთმონ ამომრჩეველთა განცხადება-საჩივრებს, დროულად განიხილონ ისინი და განმცხადებლებს გასცენ ამომწურავი პასუხი;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, რომ დეპუტატობის, სახალხო მოსამართლეობის და სახალხო მსაჯულობის კანდიდატებად შერჩეულ იქნენ პატიოსანი, კეთილსინდისიერი მოქალაქენი, რომლებიც სარგებლობენ ხალხის ნდობით, ხასიათდებიან საჭირო პოლიტიკური, მორალური, საქმიანი თვისებებით და უნარი შესწევთ ღირსეულად შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი;

ინფორმაცია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარმოუდგინონ ამა წლის 5 მაისამდე.

დადგინდა, რომ საარჩევნო უბნები და საუბნო საარჩევნო კომისიები საერთოა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის; თითოეული საარჩევნო უბნისათვის შედგენილი ამომრჩეველთა სიები საერთოა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის; საყოველთაო გაცნობისათვის ამომრჩეველთა სიების წარმოდგენისა და არჩევნების დღეს შორის პერიოდში ამომრჩევლის მიერ ადგილსამყოფელის შეცვლისას, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას, რომელიც საერთოა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნებისათვის.

დაევალოთ:

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს — პრაქტიკული დახმარება გაუწიოს რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ამომრჩევლების წინაშე ანგარიშგებაში.

საქართველოს სსრ გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს — უზრუნველყოს საარჩევნო ლიტერატურისა და პლაკატების დროულად გამოცემა და რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში დაგზავნა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს — უზრუნველყონ საარჩევნო კომისიები კავშირგაბმულობის საშუალებებით, აგრეთვე სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირგაბმულობის შეუფერხებელი მუშაობა საარჩევნო კამპანიის მთელი პერიოდისათვის; მოაგვაროს გრიფით „საარჩევნო“ კორესპონდენციის ოპერატიული მიტანა;

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას — უზრუნველყონ სავაჭრო ქსელი საჭირო მასალებითა და საკანცელარიო მოწყობილობით საარჩევნო კამპანიის მოთხოვნილებათა შესაბამისად;

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს — სისტემატურად და ფართოდ გააშუქონ სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობა, ასახონ სიახლეები, რომლებიც ინერგება საარჩევნო პრაქტიკაში, შემოქმედებითად მიუდგნენ საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციის აქტუალურ საკითხებს, თვალნათლივ უჩვენონ ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა, მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით ხალხის შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის ამაღლება.

დამტკიცდა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა მორიგი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების ძირითად ღონისძიებათა კალენდარული გეგმა.

დადგინდა ამა წლის მარტში გაიმართოს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მდივანთა თათბირ-სემინარი საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მორიგი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებზე.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზოგიერთი დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1987 წლის 2, 16 და 24 მარტის ბრძანებულებებით „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე დაადგინა დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ პირად განცხადებასთან დაკავშირებით ვადამდე შეწყვეტილად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შემდეგი დეპუტატების უფლებამოსილება:

იური ივანეს ძე ქედიშვილის — ზესტაფონის რაიონის № 238 კვალითის საარჩევნო ოლქი;

ვილენ ისიდორეს ძე ალავიძის — ქალაქ სოხუმის № 359 კალინინის საარჩევნო ოლქი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ შოთას ძე ერქომაიშვილის — ჩოხატაურის რაიონის № 306 ბუკისციხის საარჩევნო ოლქი;

ვახტანგ ივანეს ძე ლომაძის — ქალაქ მარნეულის № 168 ლენინის საარჩევნო ოლქი;

ნუგზარ დომენტის ძე რუხაძის — ქედის რაიონის № 424 ქედის საარჩევნო ოლქი.